



# 30 ოქტომბერს, კვირას, რუსულენოვან "ნაცონალური" ყველანი «მამული» იუბილეზე



**მასტრო?**




**როგორ  
ქართველმა  
მწერელმა  
რა თქვა  
ზვიადის  
კომუნისტურ  
სამსჯავროზე**

**წაიკითხეთ:**

**ზვიად გამსახურდიას ბოლო ბუღი არ ჩაუღია!**

ეს სამარცხვინო სტენოგრამა, რომელიც 1977 წლის 1 აპრილის სამარცხვინო სხდომის მუშაობაში გვახელეს, მრავალჯერ დაიბეჭდა პრესაში, მაგრამ არც ერთხელ შემცირებების და უხეში ჩასწორებების გარეშე. ჩვენი გაზეთი დღეს ვთავაზობთ ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხვის სხდომის ზუსტ ჩანაწერს.




ვინა თქვა, რომ თათქარიძეანთ ლუარსაბს შთამომავალი არ დარჩენია?  
ვის ეწადა დატოვებინა იგი უშვილობილად გადაცემული ქართულ რეალობაში?  
ვინ იტვირთა ესოდენ დიდი „ცოდვა“?  
ერთადერთი სიცოცხლესთან მართებული ბეწვზე უწვრილესი ხიდი ვინ გაუწყვიტა მას?  
ვის ეწადა ლუარსაბის გენის ამოძირკვა ერის შგნებაში?



**სამი სიკვდილი ერთი ხელნაწერით**

**მამული** რელაქტორ-გამომცემელი  
მანუჩარ კაჭახიძე  
ჩვენი პარტნიორი:  
P.O. Box 13121, Jersey City, NJ 07109  
Phone: 347-724-0770  
mamuli@comcast.net  
www.open.ge/mamuli

# 30 ოქტომბერს, კვირას, რუსულენოვან „ნაცონალისტ“ ყველანი «მამულის» იუბილეზე



## საქართველო აქვით თქვენი განვითის გარდასარჩენად

347-724-0770

# გაიოზ კერატივილის ახალი რედაქცია ქართული ოთხთავისა

# სახარება მათესი

დასაწყისი ნი. „მათელი“ № 14, 15.

## თავი 9

1. და აღვიდა ნაგში და გავიდა გაღმა და დაბრუნდა ქალაქად თავისად.

2. და აპა, მოკვარეს საწოლზე მდებარე დაძვალად ცემული, და იხილა იესომ სარწმუნოება მათი და უთხრა დაძვალად ცემულსა მას: ნუ გეშინინ შეილო, მოგეტყვენს შენ ცოდვანი შენი!

3. და აპა ესერა, ზოგმა მწიგნობართაგანმა თავიანთთვის გულგებში თქვენს, ვითარმედ: ეს კაცი ღმერთსა ჰგმობს.

4. იცოდა იესომ ზრახვანი მათნი და უთხრა მათ: რად იზრახნით ძვირსა გულსა შინა თქვენსა?

5. რა უფრო უადვილეს არს სათქმელად: მოგეტყვენს შენ ცოდვანი შენი, თუ თქმაი: აღდგე და იარე?

6. ხოლო, რამეთუ უწყოდეთ, რომ ხელმწიფეები აქვს ძესა კაცისასა ქვეყანასა ზედა მიტევებათა ცოდვათა, — მაშინ უთხრა განრღვეულსა მას: აღდგე, აღიდე საწოლი შენი და წადი შენს სახლში.

7. და მეყვსულად აღდგა იგი და წარვიდა სახლსა თავისა.

8. იხილა რაი ესე ხალხმა, გაუვირდათ და აღიღებდნენ ღმერთსა, რომელმაც მისცა ესევითარი შეძლება აღამიანებს.

9. და მოდიოდა იქიდან იესო, და იხილა კაცი საზვრესთან მჯდომი სახელად მათე, და უთხრა მას: გამომეცე და წამოვადგა ისიც და აედევნა მას.

10. და ოდეს სუფრასთან იჯდა სახლსა შინა, მრავალი მეზვერე და ცოდვილი მოვიდა და მოუხსნდნენ გვერდით იესოსა და მოწაფეებს მისას.

11. და ვითარცა ნახეს ესე ფარისევლებმა, უთხრეს მოწაფეთა მათ: რაისათვის მეზვერეთა და ცოდვილთა თანა სუამს მოძღვარი თქვენი?

12. ხოლო იესომ, ვითარცა შეესმა, უთხრა მათ: მკურნალი ჭირდება არა ჯანმრთელებს, არამედ ავადმყოფებს.

13. ხოლო თქვენ წადით და ისწავლეთ, რას ნიშნავს: წყალობა მენებას და არა მსხვერპლი. რამეთუ მოვსულვარ, რომ ვუხმე არა მართალთა, არამედ ცოდვილთა?

14. მაშინ მოვიდნენ მასთან მოწაფენი იოანესნი და უთხრეს: რაისთვის ჩვენ და ფარისევლებნი ემარხულობთ ბევრს, ხოლო მოწაფენი შენი არა მარხულობენ?

15. და უთხრა იესომ მათ: ხელეწიფებთ მეჭორწინებს გლოვას, სანამ მათთან არს სიძე? დადგება დღენი, რაჟამს წაერთმევათ სიძე იგი და მაშინ იმარხებენ!

16. არგინ არ აკერებს უხმარსა საკერებელის ნაჭერსა ძველსა ტანსაცმელზე, რამეთუ მოვგლიჯების ახალი ძველსა და უარესი ნახევი გაჩნდება.

17. არცა, ღვინოსა ახალსა, ძველსა ტიკებში არ ასხამენ, რათა არ დახეთქოს ტიკები და ღვინო არ დაიქცეს და ტიკები განადგურდეს. არამედ, ახალი ღვინო ახალ ტიკებში ისხმება და ორივენი ინახებიან.

18. და ვითარცა ამას ეუბნებოდა მათ, მოვიდა ერთი მთავარი, თავანისცა და უთხრა: ასული ჩემი ეს-ესაა გარდაიცვალა. არამედ, მოვედ, და დასდევ ხელი შენი მასზე და გააცოცხლებდა.

19. და აღდგა იესო და გაჰყვა მას და მოწაფენიც მისნი მასთან ერთად.

20. და აპა, ესერა, დედაკაცი ერთი, რომელსაცა დენი სისხლისა სტანჯავდა თორმეტი წელიწადი, მიეახლა უკანა მხრიდან და შეეხო სამოსლისა მისისა ბოლოს.

21. რამეთუ ამბობდა გულსა თავისა, ვითარმედ: უკეთუ, შეეხო მხოლოდ სამოსელსა მისსაც, — განვიკურნო.

22. ხოლო იესო, მობრუნდა, შეხედა მას და უთხრა: ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და განიკურნა დედაკაცი იგი იმავე ყამიდან.

23. და მივიდა იესო სახლსა მას მთავრისასა და იხილა იქ, მესტვირენი და მოგროვილი ხალხი და შვითი.

24. და უთხრა მათ: განეშორეთ, რამეთუ არა მომკვდარ არს ეგე, არამედ სიხნავს. ხოლო ისინი დასცილდნენ მას.

25. და რაჟამს გამოყარეს ხალხი, შევიდა და მოსჭიდა ხელზე და აღადგინა გოგონა იგი.

26. და განითქო ამბავი ესე ყოველსა მხარესა მას.

27. და როცა მოემართებოდა იქიდან იესო, დაედევნა ორი ბრმა და დალაღებდნენ და იძახდნენ: შეგვიწყალებ ჩვენ, ძეო დავითისაო!

28. და ვითარცა შევიდა იესო სახლში, შეჰყენნ ბრმანი, და უთხრა მათ იესომ: გრწამთ, რამეთუ ძალმიძს მე ამის გაკეთება? უთხრეს მათ: დი-ახ, უფალო!

29. მაშინ შეეხო თვალთა მათთა და უთხრა მათ: სარწმუნოებისა თქვენისამებრ გეყავნ თქვენ!

30. და მეყვსულად აღვირინათ თვალები. და მკაცრად უთხრა იესომ მათ: იცოდეთ, არავინ არ იცოდეს.

31. ისინი კი როცა წავიდნენ, მოპვინეს ამბავი ესე მთელ იმ მხარეში.

32. და როცა გამოვიდნენ ისინი, მოკვარეს მას კაცი ყრუ<sup>4</sup> და ეშმაკეული.

33. და ვითარცა განიღვენა ეშმაკი, იწყო ლაპარაკი ყრუმ და გაკვირბულიყო ხალხი და ამბობდა: არასადა ისრაელთა შორის ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა.

34. ხოლო ფარისევლები ამბობდნენ: მთავრითა ეშმაკითა განადგებსო ეშმაკთა.

35. და იარებოდა იესო ქალაქებსა და დაბებსა ყოველსა, და ასწავლიდა სინაგოგებსა მათთა, და ჰქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა. და ჰკურნავდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ხალხისასა.

36. და ვითარცა იხილა სიმრავლე ხალხისა, შეებრადა ისინი, რამეთუ იყვნენ დამაშვარანი და დაფანტულნი ვითარცა ცხოვარნი, რომელთაც არა ჰყავთ მწყემსი.

37. მაშინ უთხრა მოწაფეთა თავისთა, ვითარმედ: სამკალო ფრიად არს, ხოლო მომკველი — ცოტა.

38. ევედრებით უფალსა სამკალისასა, რათა გაიყვანოს თავისა სამკალსა მუშაენი მკისანი.

## თავი 10

1. და მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თავისთა და მისცა მათ ხელმწიფეობა სულთა ზედა არ-

ნასხამდეთ. უსასყიდლოთ მიგიღით და უსასყიდლოდვე გასცემდეთ.

9. ნუ იჭინებთ თან ნურცა ოქროსა, ნურცა ვერცხლსა, ნურცა სპილენძსა თქვენს შემოსარტყმლებზე.

10. ნურცა გუდასა გზასა ზედა, ნურცა ორსა სამოსსა, ნურცა სანდალთა, ნურცა კვრთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი საზრდოსა<sup>5</sup> თავისისა.

11. რომელსა ქალაქსა თუ დაბასა შეხვდეთ, გამოიკითხეთ ვინაა ღირსეული და იქ დარჩით, ვიდრე წამოხვიდოდეთ.

12. და შესვლისას სახლსა მას, მიესალმეთ და უთხარით: მშვიდობა სახლსა ამას.

13. და უკეთუ სახლი იგი ღირსი იყოს, მიუვიდეს მშვიდობა თქვენი მას. უკეთუ არა ღირსი იყოს, მშვიდობა თქვენი, თქვენვე დაგიბრუნდეთ.

14. და უკეთუ არგინ არ შეგიწყნაროთ და არცა ისინიონ სიტყვანი თქვენი, მაშინ სახლიდან თუ მათი ქალაქიდან გარეთ გამოსვლისას გაიყრვიენით მტკერნი ფერხთაგან თქვენი.

15. ჰეშმარითად გეუბნებით თქვენ: უმოლხინეს იყოს ადგილი სოლომოსა და გომორისა დღესა მას განკითხვისა, ვიდრე ქალაქი იგი.

16. აპა, მე მიგავლინებთ თქვენ, ვითარცა ცხვართა, მგელთა შორის; მაშ, იყავით, მეცნიერნი, ვითარცა გველნი, და უმანკონი, ვითარცა მტრედნი.

17. გაფრთხილდით ხალხთან, რამეთუ ისინი



იესო ქრისტეს მიერ ბრმის განკურნება

აწმიდათა, რათა განასხმიდნენ მათ და ჰკურნავდნენ ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა.

2. ხოლო ათორმეტთა მოციქულთა სახელები ესე არს: პირველი სვიმონი, რომელსაც ეწოდა პეტრე, და ანდრია მამი მისი, იაკობ ზებედეს ძე და იოანე, მამი მისი,

3. ფილიპე და ბართლომე, თომა და მათე მეზვერე, იაკობ ალფეს ძე და ლებეოსი, რომელსაც ეწოდა თადეოსი.

4. სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი.

5. ესე ათორმეტნი წარავლინა იესომ, ამცნო მათ და უთხრა: გზასა წარმართთასა ნუ ივლით, და ქალაქსა სამართლებელთასა ნუ შეხვალთ.

6. არამედ მიხვიდოდეთ უფროვე ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა მის ისრაელისათა.

7. და როცა მიხვიდით, იქადაგეთ და თქვით, რამეთუ: მოახლოებული არს სასუფეველი ცათა.

8. უძლურებს ჰკურნავდეთ, მკვდართა აღადგენდეთ, კეთროვანთა განსწმედდეთ, ეშმაკთა გა-

შეკვნი იხილ განსავლელისა და მკურნებლისა, განსვენებულ კათალიკოს-პატრიარქ მუხომ II-ის ნათელ ხსოვნას

მიგცემით კრებულს<sup>7</sup> და მათ სინაგოგებში<sup>8</sup> და გიწყებთ ცემას.

18. და მთავართა და მეფეთა წინაშე წარგადგინონ ჩემს გამო თქვენ, დასამოწყებლად მათდა და წარმართთა.

19. და რაჟამს გადაეცემით, ნუ ზრუნავთ როგორ და რა უთხრათ მათ, რამეთუ მას ჟამსა შინა მოგვეცეთ თქვენი, თუ რა უნდა თქვათ.

20. რამეთუ არა თქვენ იყოთ მეტყველნი, არამედ სული მამისა თქვენისა, რომელიც ილაპარაკებს თქვენში.

21. რამეთუ მისცეს ძმამან ძმის სიკვდილად და მამამან შვილი. და აღდგნენ შვილი მამა-დედათა ზედა და ჰხოცავდნენ მათ.

22. და იყოთ თქვენ მოძულეებულნი ყველასაგან სახელისა ჩემისა გამო. და რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვდეს.

23. როცა განიღვენით ერთი ქალაქიდან, ილტვოდეთ მეორეში. ჰეშმარითად გეუბნებით თქვენ: ვერ მოასწოროთ მოვლა ქალაქთა ისრაელისათა, რომ ძე კაცისათი მოვა.

24. არა არს მოწაფე თავის მოძღვარზე მეტი, არცა მსახური თავის ბატონზე მეტი.

25. საკმარის არს მოწაფისათვის, უკეთუ იყოს ვითარცა მოძღვარი თავისი, და მსახურისათვის, ვითარცა მთავარი მისი. უკეთუ სახლისა უფალსა ბელზებული უწოდეს, მის შინაურებზე უარესს არ იტყვიან?

26. ნურაფრით შეგეშინებდით მათი, რამეთუ არა არს დაფარული, რომელიც არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლო, რომელიც არა განცხადდეს.

27. რასაც თქვენ ბნელში გეუბნებით, ნათელსა შინა თქვით და რასაცა ყურით მოისმენთ, ერღობიდან იქადაგეთ.

28. მათი ნუ გეშინით, რომლებიც ხორცს ჰკლავენ, ხოლო მოკვლა სულისა — ვერ ხელეწიფებთ. არამედ გეშინოდეთ უფროსი მისი, რომელიც შემძლებელ არს სულიცა და ხორციც წარწყმედოს გენისასა შინა.

29. განა ორი ბელური ერთ ასარად<sup>9</sup> არ იყიდება? და ერთი მათგანიც კი არ დაეცემის მოწაფე თვინიერ მამისა თქვენისა.

30. ხოლო თავისა თქვენისა ყოველნი თმანიც კი დათვლილნი არიან.

31. ნუ გეშინით, რამეთუ მრავალთა ბელურათა უმჯობეს ხართ თქვენ.

32. ყოველი, რომელმან მალიაროს წინაშე კაცთა, მეც ვალიარო იგი წინაშე მამისა ზეცათათისა.

33. და რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა, უარყო იგი მეც წინაშე მამისა ჩემისა ზეცათათისა.

34. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მოვენად მშვიდობისა ქვეყანასა ზედა; არა მოვედ მოვენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა.

35. რამეთუ მოვედ განვიყო ვაჟი — მამისაგან თავისისა და ასული დედისაგან თავისისა და რძალი დედამთილისაგან თავისისა.

36. და მტრები იყვნენ კაცისა სახლულნი თავისნი.

37. რომელსაც უყვარდეს მამაი ანუ დედაი უფროსი ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსაც უყვარდეს ძე ანუ ასული თვისი უფროსი ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს.

38. და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.

39. რომელმან მოიპოვოს სული თვისი, წარიწყმედოს იგი, და რომელმან წარიწყმედოს სული თვისი ჩემთვის, მან მოიპოვოს იგი.

40. რომელმან შეგიწყნაროთ თქვენ, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შემიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

41. რომელმან შეიწყნაროს წინასწარმეტყველი წინასწარმეტყველის სახელით, წინასწარმეტყველის საზღაური მიიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი მართლის სახელით, საზღაური მართლისა მიიღოს.

42. და რომელმან ასევე ერთს ამ მცირეთაგანს თუნდა ერთი შესასმელი ცივი წყალი მოწაფის სახელით, ჰეშმარითად გეუბნებით თქვენ, არ დაეკარგოს საფასური თავისი.

## გაგრძელება იქნება

1. რუსულ თარგმანში: „ВЗЯЛ ПОСТЕЛЬ СВОЮ“, თუმცა ქართულ ტექსტში ეს თავისთავად იგულისხმება.

2. ეფრემ II-ის გამოცემაში დაფიქსირებულია „ცოდვილთა სინანულად“, ანუ რუსულშიც, მაგრამ გ. მთაწმინდელისეული რედაქციით არის მართლ „ცოდვილთა“, რაც კონტრასტის მიხედვით სწორ ფორმად მიგვაჩნია.

3. სახარების ზოგ რედაქციაშია „ამაღლებდნენ“, კონტრასტით „წაერთმევათ“ უფრო სწორ ფორმად მივიჩნიეთ. ამით იესო ჯვარცმას უნდა მიანიშნებდეს.

4. „ჟრუ“ ინსერცია ადისის და გ. მთაწმინდელისეულ თარგმანშიც. რუსულ და სახარების ევკლია ახალ ქართულ თარგმანში ეს ტერმინი ჩანაცვლებულია „მუხჯი“-თ, რაც, ჩვენის აზრით, ლავსუსა და 33-ე მუხლის არასწორი ინტერპრეტაციიდან მომდინარეობს. „ჟრუ“ თავისთავად გულისხმობს დამუნჯებულს, ე.ი. მუხჯს, რამდენადაც არ ეუფრება და ამ მიზეზით ვეღარ ლაპარაკობს. ანალოგიური აღწერილობა მათეს 12-22-შიც, სადაც განკურნებული ყრუ ლაპარაკს იწყებს.

5. „საზრდოა“ ადისის თარგმანში, ხოლო მათეთთან აქ, და ლუკასთან (10,7) და სხვა რედაქციაში „სასყიდელი“, ანუ საზღაური, გასამრჩელი; შეიძლება აქ იესო ციტირებას ახდენდეს მამისდელი გამოხატუებისას და „სასყიდელი“ უფრო მიზანშეწონილი იყოს ტექსტისათვის.

6. სინედრიონი, სასამართლო.

7. ადისის თარგმანში: „ურაკაბარაკთა მათთა“ („თვალსაჩინო ადგილი“. საბა.)

8. წვრილი მონეტა.

### ორივე სივრცე პარტიის სივრცეში პარტიის წევრებს დასახლება, ანუ პარტიული მდივნის როლი ხელოვნებასა და მკვლევარებაში

წინასწარ მინდა, პარტიის ვითარება იმ ადამიანების ხსენებით წინაშე, რომლებმაც ამ წერილში ვილაპარაკებო. აქვე დიდ ბოდიშს ვუხდით ამ ადამიანების ახლობლებს, მეგობრებს, ნათესავებს, საერთოდ, საზოგადოებას, რადგან თემა, რომელზეც ამ წერილში ვიმსჯელებთ, მტკივნეული, უსიამოვნო, საჩინო თემაა, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს - ამ თემას გვერდს თუ ავუვლით, ჩვენ ვერასოდეს მივუახლოვდებით სიმართლეს და ვერასოდეს გავიფიქრებთ იმ არაადამიანურ მეთოდებს, რომლებითაც საქართველოს მოქალაქეებს უსწორდებიან.

ამ მეთოდების ტექნოლოგია იმდენად შეზარათოვანი და ცინიკურია, იმდენად სატანისტური და აბუჩად ამგდებიან, მწიფია, ირწმუნო, რომ ასეთი რამ იმ საქართველოში ხდება, რომელსაც პრეტენზია აქვს, ერქვას უძველესი ცივილიზაციის, ჰუმანური იდეების, მაღალი ზნეობრივი კატეგორიების ქვეყანა.

საშინელებაა, როცა ადამიანებს კლავენ, მაგრამ ასევე უფრო საშინელებაა, როცა ადამიანს არამარტო ფიზიკურად კლავენ, არამედ ანადგურებენ მორალურადაც. დევიდს თუ ვიხსენებთ მის ღირსებას, სახელს, ავტორიტეტსაც, აწებებენ ისეთ იარაღებს, რომ მისმა შვილებმა და ახლობლებმა მისი გამოსარჩელების და დაცვის ხალისი დაკარგონ, ხოლო საზოგადოება აიძულონ, პროტესტს დღემდე არჩიონ.

ადამიანთა განადგურების ამგვარი მეთოდი უკვე სისტემის ხასიათი მიიღო, ეს კი საგანგაშო და სახიფათოა, ამიტომაც გადავწყვიტეთ, არ მოვრიდებოდით ამ არადელოკატურ საკითხს და სათქმელი ღიად, გახსნილად გვეთქვა.

საზოგადოება, რომელსაც განსჯის, მოვლენათა კრიტიკული შეფასების და, უბრალოდ, საღად აზროვნების უნარი შერჩენია, არ შეიძლება, არ გააკვირვოს და არ გააოგნოს ერთმა გარემოებამ - საქართველოში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სამი ცნობილი ადამიანი დაიღუპა და სამივეს სიკვდილს ერთი ფონი, ერთი მოტივი უდევს სარჩულად.

სამი სიკვდილი ერთი ხელწერით, თითქმის იდენტური სამი სცენარით, რომლებსაც განვითარების ერთი საერთო ღერძი და ხერხემალი აქვს.

### გიორგი სანაია, ნუგზარ საჯაია, ზურაბ შანიანი...

**გიორგი სანაია**, ცნობილი ჟურნალისტი, საკუთარ ბინაში მოკლა შეიარაღებულმა პირმა, რომელსაც უიარაღო სანაიამ გაუპატრონა „დაუპირა“. აფექტში ჩაგვარდნილი სუბიექტმა მოძალადე ტყვიით განგმირა.

მომხდარს მეტი დამაჯერებლობა რომ მისცემოდა, მილიონობით მაყურებელს ტელევიზიით რამდენჯერმე აჩვენეს პირველხარისხილი სანაიას ცხედარი, რომელსაც მხოლოდ ტრუსები ეცვა. ამ „ისტორიულ“ სცენას მხოლოდ მოაყოლეს ჭორები, რომ ჟურნალისტს ტრუსებიც კი არ ეცვა და ის მოგვიანებით ჩააცვს შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა.

სანაიას სიკვდილის ფონი და მოტივი - ჰომოსექსუალიზმი!

დაიკითხა ასეულობით ჰომოსექსუალისტი, ვინც ერთხელ მაინც დამდგარა ცირკის მიღამებთან (ცირკს იმიტომ უტრიალებდნენ გამოძიებლები, რომ თქვა, თითქმის სანაიამ ხურცილაგა სწორედ ცირკის მიღამებში აიყვანა). ბოლოს ერთი ასეთი ადამიანიც გამოჩნდა (ისიც ჰომოსექსუალიზმში ეჭვმიტანილი), რომელმაც დაადასტურა, რომ სანაია, მანქანით იმ დამეს მართლაც ნახა გმირთა მოედანზე, თერთმეტსართულიანთან.

მოკლედ რომ ვთქვათ, ძიება ცალმხრივად, ჯიუტად მიდიოდა ერთი გზით და ერთი მიმართულებით - როგორმე დაემტკიცებინა, რომ სანაია, თავისივე არაქანსალი სექსუალური ორიენტაციის და არა მისი ჟურნალისტური მოღვაწეობის ან კიდევ სხვა ფაქტორების მსხვერპლი შეიქნა.

გამოძიების წინასწარ აკვიატებულ იდევს ხალისით ადასტურებდა სანაიასგან „დაზარალებული“ მხარეც.

ხანგრძლივი დებატების შემდეგ „მოუკრიბებელმა და ობიექტურმა“ სასამართლომ ისეთი განაჩენი გამოუტანა სანაიას, რომ მასთან შედარებით, მისი მკვლელის - ხურცილავას სასჯელი ხუმრობად მოგჩვენებთ - სანაია ჰომოსექსუალისტი იყო და ეს უბედურება მან თავს თვითონ დაიტყნა.

ასეთი იარაღით „დამწვევით“ შეატყვის სანაია მის ოჯახს, საზოგადოებას და, საერთოდ, ისტორიას.

სერიოზული შესწავლის საგანი არც კი გამხდარა უამრავი ისეთი ფაქტი, რომლებიც პირდაპირ

მიანიშნებდა, რომ სანაიას მკვლელობა შეიძლებოდა უშუალო კავშირში ყოფილიყო პოლიტიკურ საკითხებთან, ვიღაცის ფინანსურ-კრიმინალურ ინტერესებთან და ა.შ.

გამოძიების და შემდეგ „ობიექტური“ სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის ფაქტიც, რომ სანაიამ ტრაგიკულ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, ბინის გასაღები დაკარგა. ეს და სხვა ასეთი დეტალები გულგრილად მოისროლეს გვერდზე, მათ შორის, უყურადღებოდ დარჩა ის ამბავიც, რომ ტრაგიკული შემთხვევამდე დღით ადრე, სანაია ბათუმს ესტუმრა. უცნაურია, რომ ბათუმის სახელი მოგვიანებით ნუგზარ საჯაიას და ზურაბ შანიანს სიკვდილთან დაკავშირებითაც ამოტივტივდება - საჯაია თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე რამდენჯერმე სტუმრობდა ბათუმს, ბოლოს კი შევარდნაძესთან კატეგორიულად განუცხადებია, რომ

მიწებებული კაცის გამოსარჩელება სახიფათო საქმეა - გამოსარჩელებელს შეიძლება იგივე იარაღი მიაწებონ აგრესიულმა მორალისტებმა, რომლებიც საქართველოში ყოველთვის მრავლად იყვნენ და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე უზარმაზარ გავლენას ახდენდნენ.

მომხდარი ტრაგიკული პირველადი დღეებში გამოითქვა ეჭვი, რომ საჯაიამ თავი კი არ მოიკლა, ის მოკლეს. ამ ეგრისის, განსაკუთრებული კატეგორიულობით, აჭარის მაშინდელი ლიდერი ასლან აბაშიძე ამკვიდრებდა.

მოგვიანებით შევარდნაძე გაიხსენებს, თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე როგორ შევიდა მასთან ბატონი ნუგზარი და კატეგორიულად მოითხოვა, რომ ბათუმში აღარასოდეს გვეგზავნათ.

შევარდნაძე არ აზუსტებს თუ რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ბათუმში წასვლაზე უარის თქმის მსსკვდილთან.

და სკანდალური ინფორმაციებს გამოკიდებულ იმ ვითომ ჟურნალისტების შეითხრობილი პუბლიკაციები, რომლებიც ას დოლორად საჯაიას კი არა, საკუთარ პაპასაც კი ჰომოსექსუალისტობასაც დააბრალებენ და სადომოზოხისტობასაც.

დაბოლოს, მინდა, ერთი ამბავი გავხსენო, რომლის მოწმეც მე თავად გახლავართ და რომლის შესახებაც დღეს პირველად ვეყვირე სახალხო.

ის დრო იყო, როდესაც შევარდნაძესა და ჟვინია-სააკაშვილის გუნდს შორის შავმა კატამ გაიბრინა. დაპირისპირება დღითი დღე მწვავედებოდა და სულ უფრო და უფრო უკომპრომისო ხასიათს იღებდა. ერთ ცნობილ პუბლიცისტს, რომელიც შევარდნაძეს უჭერდა მხარს და მწვავედ აკრიტიკებდა ჟვინიასაც, სააკაშვილსაც და, საერთოდ, მთელ ოპოზიციას, მისსავე კაბინეტში ესტუმრობდა. ტელეფონმა დარეკა. პუბლიცის-

# სამი სიკვდილი

ბათუმში აღარასოდეს ჩავიდოდა. პრესაში გაკრთა ინფორმაცია, რომ იმ კონსპირაციული ბინის დამქირავებლები, სადაც ჟვინია დაიღუპა, ბათუმელები იყვნენ, თუმცა ამ ინფორმაციისთვის, რატომღაც, ყურადღება არავის მიუქცევია და მალევე მიივიწყეს.

**ნუგზარ საჯაია** - უშიშროების საბჭოს მდივანი, შევარდნაძის ხელისუფლების რუხ კარდინალად წოდებული უშიშვნელოვანესი ფიგურაა, რომლის გარეშე არ წყდებოდა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ყველაზე წვერილი საკითხიც კი, უზარმაზარი გავლენისა და კავშირების მქონე პიროვნება, ჭკვიანი, გაწონასწორებული ადამიანი, მრავალი პოლიტიკური ბატალიის მონაწილე, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებთანაც კი ახერხებდა კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნებას.

მის სახელს უკავშირებდნენ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებას ხელისუფლებაში. სწორედ საჯაიას კადრებზე იწოდებოდა ჩინოვნიკთა ის ახალი თაობა, რომლის წარმომადგენლებს ადმინისტრაციული ხელისუფლების თითქმის ყველა საკვანძო პოსტი ეჭირათ.

ნუგზარ საჯაია დიდ ძალაუფლებას ფლობდა და მისგან აღზრდილი და დაწინაურებული კადრების წყალობით, პოლიტიკური ცხოვრების მთელ არეალს აკონტროლებდა.

და, უკვე, გამოგნებელი ინფორმაცია: ნუგზარ საჯაიამ თავის კაბინეტში თავი მოიკლა! მას არ დაუტოვებია წერილი, სადაც ახსნიდა ამ საბედისწერო გადაწყვეტილების მიზეზებს; სიკვდილის წინ არ უცდია, თუნდაც ერთი ადამიანისთვის გაეწიო ის ტკივილი, წყენა ან იმ გამოუვალი მდგომარეობის არსი, რის გამოც თავს იკლავდა.

ერთადერთი, რაც თითქმის ნათესს ჰქვია ამ ბურუსით მოკვლულ თვითმკვლელობის მიზეზებს, მის სამუშაო მაგიდაზე გადაშლილი გაზეთი იყო, რომლის ერთ-ერთ პუბლიკაციაში საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი „პუტჩის“ მოთავე და სამხედრო გადატრიალების თავგადაც, კიტრავანი, საჯაიას ჰომოსექსუალისტობაში სდებდა ბრალს და პირდაპირ აცხადებდა: „ეგ ხომ ცნობილი პედერასტია“.

სწორედ ეს პუბლიკაცია დასახელდა ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობის მთავარ მოტივად - თავმოყვარე ადამიანმა ვერ აიტანა მისი ღირსების შეურაცხყოფილი ეს ბინძური ბრალდება და აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა თავი მოიკლა.


ასეთი გახლდათ უშიშროების საბჭოს მდივნის ტრაგიკული აღსასრულის ოფიციალური, ფაქტობრივად, ერთადერთი და უალტერნატივო ვერსია, რომლის გაბათილება ოფიციალურ წრეებს, არც მაშინ და არც შემდგომ, არ უცდიათ.

ნიშანდობლივია, რომ გაზეთის ამ საბედისწერო ნომრის გამოსვლას წინ უძღოდა არაერთი სხვა წერილი, სადაც პირდაპირ არა, მაგრამ მიანიშნებდა, ირიბად, სხვადასხვა ავტორები დაჟინებით მიუთითებდნენ ვიღაც ძალიან მაღალი თანამდებობის პირზე, რომელიც, თურმე, ჰომოსექსუალისტი და რომელიც ხელისუფლების უმწიკვლო რეპუტაციას ლაფსა და ტალახში სვრის.

არც კიტრავანისთვის და არც გაზეთის რედაქციისთვის ისეთი ინფორმაციის გავრცელებისთვის, რომელიც თვითმკვლელობამდე მიიყვანა ადამიანი, ზუსტად კი არავის აუფრენია და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვინ ჩივის, ხმა-მაღალი საყვედურიც არავის უკადრებია.

სამწუხაროდ, არც საზოგადოების მხრიდან მოპყლია ამ ამბავზე ფაქტს დიდი აღფრთობა და არც ნუგზარ საჯაიას მიერ აღზრდილი და მაღალ თანამდებობებზე მისივე რეკომენდაციით დანიშნულ მინისტრებს მოუკლავთ მინცდამინც თავი დამნაშავეთა დაქვის მოთხოვნით.

საქართველოში ჰომოსექსუალისტის იარაღი-



არავის მოუქცევია ყურადღება იმისთვისაც, რომ საჯაიას სიკვდილის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა, რაც მოგვიანებით შევარდნაძის და მისი ხელისუფლების დამხობით დასრულდა, მანამდე კი, ზუხულისაგეთი დაინგრა ის სახელისუფლო შენობა, რომელსაც აგურ-აგურ აშენებდა საჯაია და რომელშიც მისი სიკვდილის შემდეგ ერთბაშად დაისადგურა დიუკველობის პანიკურმა შიშმა, არასტაბილურობის შეგრძნებამ, დეპრესიამ.

შევარდნაძე, რომელსაც ცხვირწინ მოუკლეს უშიშროების საბჭოს მდივანი, უსაფრთხოების გარანტიად ვერ გამოდგებოდა, საჭირო იყო ახალი, საიმედო და ძლიერი პარტიის ძეგნა და ხელი-სუფლებამო მყოფ მაღალჩინოსნებსაც არ დაუყოვნებიათ.

მათმა დემორალიზაციამ, დეგრადირებულმა და გამცემლურმა განწყობამ ღია და დაუფარავი ხასიათი მიიღო - შევარდნაძის მინისტრები შევარდნაძის მგებნელებს საჭაროდ ელაქუცებოდნენ და კოჭებს უფრებდნენ.

საჯაიას სიკვდილი შევარდნაძის პოლიტიკური სიკვდილის წინა დღე იყო ისევე, როგორც ეს იყო წინა დღე „ვარდების რევოლუციისა“, რომელმაც რადიკალურად შეცვალა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ორიენტაციები და ძველი ხელი-სუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად პირწმინდად გახტვა სცენიდან ნუგზარ საჯაიას ძლე-გამოსილი მოწაფეების გუნდი.

აი, ასეთი ამბები დატრიალდა საჯაიას ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ, რასაც ობიექტური და სიმართლის დადგენის მსურველი გამოძიება აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას და სათანადო დასკვნებს ამის მიხედვით გააკეთებდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა - საჯაიას სიკვდილის ოფიციალურ ვერსიად დღემდე რჩება სენსაციებ-

ტი ყურმილი აიღო და, როდესაც მიხვდა, ვინც ურეკავდა, სახე გაუხათა, მაგრამ წუთის შემდეგ ეს განათებული სახე თანდათან ჩაუქრა და ნაცრისფერი დაეღო.

- დიან... კი, ბატონო... ვასაგებია... - ისმოდა მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი პასუხები და მე გხვდავდი, როგორ გადადიოდა პუბლიცისტს სახეზე დადებული ნაცრისფერი ნარინჯისფერში.

სატელეფონო საუბარი დამთავრდა. გაოგნებული, გამშრალი პუბლიცისტი ხმას არ იღებდა.

- ვინ იყო? - გვითხვით მორიდებით.

- ვინ იყო და ნუგზარ საჯაია! ჩემი წერილი წაუკითხავს ზურაბ ჟვინიაზე და მისაყვედურა: ნუ ექნებოდა ასეთი სატიკური და კატეგორიული, ასეთი წერილები რიკოშეტით ჩვენ გვირტყამსო, - მითხრა.

გამიკვირდა: ისეთი რა „რიკოშეტი“ არსებობდა, რომ ჟვინიას განმბიქვებელ წერილს, შევარდნაძე და მისი გუნდი დაეზიანებინა?

ამკარაა, რომ საჯაიას გვერდით ჟვინია იჯდა და მთელ ამ საუბარს ესწრებოდა. მე ხომ კარგად ვიცნობ ბატონ ნუგზარს და ვიცი, როდის ლაპარაკობს ასეთი ტონით.

ცნობით ის მართლაც კარგად იცნობდა საჯაიას, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისე კარგად, რომ გაეთვალა - შევარდნაძის ერთგული საჯაია შევარდნაძის ოპონენტს რომ გამოეყარებოდა.

ამბობენ, რომ ერთი შესვლით შევარდნაძის უერთგულესი საჯაია, სულაც არ იყო მხოლოდ შევარდნაძის ინსტრუქციების უსიტყვო შემსრულებელი.

ის შევარდნაძის კი არა, საკუთარ თამაშს თამაშობდა - აყალიბებდა საკუთარ გუნდს, ჰქონდა შეფისგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები და, საერთოდ, ზოგადად, სულაც არ ეთანხმებოდა შევარდნაძის პოლიტიკურ კურსს.

ძნელი სათქმელია, მართლაც ასე იყო ეს ყველაფერი, თუ ამ ჭორებს საჯარო მისი არაკეთილმო-სურენი უფრევლებდნენ.

**ზურაბ ჟვანიძე**

ძნელია მოიხსნოს კაცი, რომელსაც ზამთრის იმ სუსხიან დღეს, მერაბიშვილისგან ოპერატიულად მოწოდებული ინფორმაცია ზურაბ ჟვანიძის დასაბუთებელი საფუძვლიდან მიეღოს.

ეჭვი, რომ ჟვანიძე მოკლეს, მოსახლეობის დიდ ნაწილში იმდენად გავრცედა, და, ალბათ, სწორედ ამან დაბადა საყოველთაო სიბრალოლისა და თანაგრძობის განწყობილება, თუმცა ოფიციალური ხელისუფლება პირველივე საათებიდან ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აცხადებდა, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა და პრემიერი თავის მეგობართან, რაულ უსუფოვთან ერთად ცუდად დამონტაჟებულმა გაზის გამათბობელმა იმსხვერპლა. არც

სწორედ ამ რეპლიკების პასუხად უხუმრია ერთხელ ცხონებულ ჟვანიძის: მე, ეს მუგუზალივით მაკვირებს, როგორ შეიძლება ცისფერი ვიყო.

ჟვანიძის სიკვდილის ორგანიზატორებმა (თუ ეს მართლაც მკვლელობა იყო და არა უბედური შემთხვევა) შესანიშნავად გამოიყენეს წლების განმავლობაში მორალური ხმები იმ სცენარის საფუძვლად და ხერხემლად, რომლითაც ჟვანიძის ლიკვიდაცია ისე უნდა მომხდარიყო, რომ საზოგადოებისთვის და ჟვანიძის ახლობლებისთვის უხერხული მომენტების გამოძვინების შიშით, გამოძიების სკრუპულოზურად ნატარების ხალისი წაერთმიათ.

ტრაგედიის დღესვე გავრცელდა ხმები, რომ ჟვანიძე და უსუფოვი იმ ბინაში "შიშვლები ნახეს, რომ ეს დაფიქსირებულია და ვიღაცას სადღაც ამის დამადასტურებელი ფოტოები და ვიდეომასალა საიმედოდ აქვს შენახული; თუ ჟვანიძის ახლობლები

შესულიყო და, სანამ ამ კონსპირაციული ბინის კარს შეღებდა, ვინ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ რომელიმე მეზობელი არ შეეჩხვებოდა, რომელსაც ვიზიტორი ზურაბ ჟვანიძის ამოცნობა არ გაუჭირდებოდა.

ჟვანიძის რომ თავი დავანებოთ, თვითონ მისი დაცვის წევრებსაც საკმაოდ კარგად იცნობს საზოგადოება და ეს არც არის გასაკვირი - ისინი სისტემატურად ჩანდნენ ტელეეკრანებზე ჟვანიძის გვერდით და ძნელი გასაშიფრი და მისახვედრი სულაც არ იქნებოდა, ვინ იყვნენ ეს ბიჭები.

დაბოლოს, დაცვის წევრებმა, რომლებმაც ეს ბინა საიდუმლო შეხვედრებისთვის შეურჩიეს შეფს, რატომ არ იფიქრეს იმაზე, შესაძლებელი იყო თუ არა მისი სიცოცხლის და უსაფრთხოების დაცვა ამ ბინაში. ისინი ხომ პრემიერის პირადი დაცვის წევრები იყვნენ და, ლოგიკის მიხედვით, პირველ

ამ არგუმენტს ისიც ამაგრებს, რომ ბინაში აღმოჩენილი თითის ანაბეჭდებიდან არცერთი არ ეკუთვნის ჟვანიძის და უსუფოვის. ექსპერტის გზით ისიც დადგინდა, რომ გაზის გამათბობელი „ნიკალა“ მშენებარად მუშაობდა და მას არ შეიძლებოდა, გამოეწვია გაზით მოწამვლა (ნიშნდობლივია ისიც, რომ იმ დროს, როცა ბინაში დაცვის წევრები შევიდნენ და ძაძაძიამ ხარშოლაძის მითითებით „ნიკალა“ გამოართო, ქსელში გაზის მიწოდება კარგა ხნის წინათ იყო შეწყვეტილი, ანუ „ნიკალა“ ისედაც არ ენთო. მაშინ რატომ „გამართო“ ძაძაძიამ „გამართული“ „ნიკალა“?).

მრავალი ასეთი დეტალი ცხადად მიუთითებს, რომ ეს ტრაგედია საბურთალოს ქუჩაზე არ მომხდარა.

ეს ბინა შეხვედრებისთვის თუ დროის გასატარებლად არც არავის დაუქირავებია - ის დაიქირავდა, როგორც დროებითი გამოყენების პროექტტურა, სადაც სხვაგან გარდაცვლილი ჟვანიძის და უსუფოვის ცხედრები უნდა დაესვენებინათ რამდენიმე საათით.

აი, ამ მიზნისთვის კი ბინა მართლაც ზედგამოჭრილი იყო - პირველ სართულზე, რა თქმა უნდა, უფრო ოპერატიულად და შეუმჩნეველად აიტან „ტვირთს“, ვიდრე მეორეზე თუ მესამეზე. პირველ სართულზე უფრო ადვილად გადაძვრები ფანჯრიდან, ვიდრე მეორეზე თუ მესამეზე.

და, რაც მთავარია, ამ ბინაში დგას „ნიკალა“, აპარატი - მკვლელი, რომელმაც უკვე გაუღდა ორმოცდაშვიდი ადამიანი, რატომ არ შეიძლება მან იგივე დამართოს ორმოცდამეგრეს, თუ ორმოცდამეცხრეს, თუნდაც ის საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყოს?

პრემიერ-მინისტრი რა, ადამიანი არ არის და შენგბადით არ ცოცხლობს?

დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ჯერ სცენარი დაიწერა და ამის მიხედვით იქნა მოძიებული ბინა თუ ჯერ იყო ბინა და მერე დაიბადა იდეა. მთავარია, რომ ჟვანიძის მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი და, ალბათ, განაჩენის სისრულეში მოყვანის რამდენიმე ვარიანტიც არსებობდა.

ზამთრის პერიოდისთვის ყველაზე ოპტიმალური გაზით გაუღდვის ინსტრუქტაჟი გამოდგა. ეს ამბავი ზაფხულში რომ მომხდარიყო, ის უთუოდ სხვაგან მოხდებოდა, არა კიკიანის ბინაში.

ეს შემთხვევა რალაციტ ჰგავს გამსახურდიის თვითმკვლელობას - როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტი „თავს აკლავდა“, მისი დაცვის წევრებს ეძინათ(!) ხოლო, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი „გაზით იგუდებოდა“, მისი დაცვის წევრები საერთოდ არ იყვნენ ახლომხალხლ(!) თითქოს დასაცავი ობიექტი ჯავშნით ჰერმეტიკული დასურული ციხე-სიმაგრეში ჰყავდათ დატოვებული.

ხომ შესაძლებელია, ხომ დასაშვებია, რომ ამ ბინაში პრემიერის სიცოცხლეს ნებისმიერ დროს დაემუქრებოდა საფრთხე. ნუთუ ამაზე არ ფიქრობდნენ დაცვის წევრები - მათ ხომ, მათივე მტკიცებით, კვირაში ორჯერ მინც მოჰყავდათ აქ ჟვანიძე, ბინაში ტოვებდნენ, და აქეთ-იქით მიდიოდნენ.

გამოდის, რომ დაცვის წევრები თვითონვე უმზადებდნენ საკუთარ თავს დიდ უსიამოვნებებს, როცა ბინას ქირაობდნენ შეფისთვის, თვითონვე, საკუთარი ინიციატივით, ქმნიდნენ ისეთ სიტუაციას, რომელიც მათ ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიიყვანდა ციხის კარამდე.

კი მაგრამ, დაცვის წევრები სულელები იყვნენ თუ ციხეში მოხვედრის ავადმყოფური ყინით შეყრობილი მანიაკები, ამ ბინას რომ ირჩევდნენ მათ მიერვე დასაცავი „ობიექტის უსაფრთხო და კონსპირაციული შეხვედრებისთვის“?

არა, ისინი არც სულელები ყოფილან და არც მანიაკები - როგორც ზემოთ ვთქვით, ეს ბინა პრემიერ-მინისტრის შეხვედრებისთვის არ ყოფილა შერჩეული, ის შეიარაღო როგორც დროებითი გამოყენების პროექტურა - სხვა ფუნქცია მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა!

კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ვასიკო მალაფერიძის სახელს უკავშირდება.

მკითხველს ემხსოვრება მალაფერიძის რეპლიკა: უსუფოვმა თხოვნი მომართა, ჟვანიძისთან შეხვედრებისთვის.

ვიღაც-ვიღაცებმა ამ რეპლიკას სხვადასხვა ფერის კულები გამოაბეს და სხვადასხვანაირი ახსნა მოუძებნეს. არადა, მალაფერიძემ სრულიად გულწრფელად თქვა ის, რაც სინამდვილე იყო - ჟვანიძის და უსუფოვის შორის არანაირი გამოჩეული მეგობრობა არ ყოფილა. ამ მეგობრობის შესახებ მითი სხვებმა შეთხზეს.

მალაფერიძემ უსუფოვის თხოვნა ვერ შეუსრულა და მან, როგორც ჩანს, უკვე სხვებს მიმართა დანაშაულისთვის, ხოლო ვინ იყვნენ ეს „სხვები“, ამის დადგენა სულაც არ არის ძნელი, თუ იმ საუბარს გავეცნობით, რომლის სრული ჩანაწერი პირველი ნაწილი ვაზეთ „მაბულში“ გამოქვეყნდა და სადაც ჟვანიძის დაცვის წევრი ძაძაძიამ აღიარებს, რომ ის უსუფოვის იმ საბედისწერო ღამეს, რამდენჯერმე დაუკავშირდა და, რაც მთავარია, დაუკავშირდა ზურაბ ჟვანიძის ძველი მობილურის ნომრიდან, რომელსაც ჟვანიძე კარგა ხანია არ ხმარობდა.

**გაგრძელება 21-ე გვერდზე**

# პრტი სეულნარი



და საზოგადოების ეჭვიანი ნაწილი არ გაჩერდებიან, ეს მასალები მაგიდაზე დაიდება!

თუმცა, ეს ფოტო თუ ვიდეომასალა რამის ეჭვმიუტანლად ამტკიცებს? - ხომ შეიძლება ჟვანიძე და უსუფოვი სხვაგან მოეკლათ, მერე ამ ბინაში მოქსვენებინათ, ტანსაცემი გაეხადათ, „სუფრა“ გაეწყოთ, ნარდიც გაეშალათ და მერე დაეძახათ სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის - ა, ბატონო, ასეთი სურათი დაგვხვდა, ხელი არაფრისთვის გვიხვია, ნახეთ, დააფიქსირეთ ყველაფერი, ემანდ, ჩვენ არაფერი დაგვბრალდესო.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო, თუმცა, რა შუაშია „შეიძლება“ და, როდესაც ჟვანიძის ახლობლების ინიციატივით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებისა და იმ დასკვნის მიხედვით, რომელიც ამერიკელებმა გამოაგზავნეს და რომლის ავტორიზებული თარგმანი შესთავაზეს საზოგადოებას ჩვენს სამართალდამცავებმა, თითქმის ეჭვმიუტანლად მტკიცდება, რომ სურათი, რომელიც საბურთალოს ქუჩის №53-ში დახვდათ იქ მისულებს, ვიღაც უხილავი რეჟისორის მიერ დადგმული სცენარი და სხვა არაფერია.

საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი ის დეტალები, რომლებსაც ზურაბ ჟვანიძის და, აგრეთვე, რაულ უსუფოვის ახლობლები ეყრდნობიან და რომელთა მიხედვითაც ასკვნიან, რომ ეს უბედური შემთხვევა კი არა, კარგად ორგანიზებული მკვლელობა იყო. ამდენად, აქ, ამ დეტალებზე ვრცლად აღარ მოგახსენებთ, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომლისთვისაც, არც უიროსუფოვებს და, მითუმეტეს, არც საგამომიებო ორგანიზებს, სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ და ანალიზის საგანად არ გაუხსენიათ.

## კონსპირაციული ბინა თუ პრტიკალი გამოყენების პროექტურა?

„უბედური შემთხვევის“ ადგილად გამოძიებისა და დაცვის წევრების მიერ დასახელებულია საბურთალოს ქუჩის №53-ში მდებარე ბინა, რომელიც ჟვანიძის კონსპირაციული შეხვედრებისთვის ჰქონდა ნაქირავები.

ყურადღებამ მიაგაქციოთ იმ მიზანს, რისთვისაც ეს ბინა დაიქირავეს - კონსპირაციული, ანუ საიდუმლო შეხვედრებისთვის.

როდესაც ასეთი მიზანი გაქვს, რა თქმა უნდა, ადვილიც ისეთი უნდა შეარჩიო, რომელიც ამ მიზნის განხორციელებისთვის გამოადგება. იგულისხმება, რომ ბინა, თუ სახლი ყველა გამგებელ-გამომგებელს თვალში არ უნდა ეჩხირებოდეს, რომ შენ და შენი სტუმრები დაცული იყოთ ცნობის-მოყვარე თვალისგან, ხოლო როდესაც კონსპირაციული ბინა განკუთვნილია მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელისთვის, ცნობილი პოლიტიკოსისთვის, ეს ბინა ელემენტარული უსაფრთხოების ნორმების დაცვის საშუალებას უნდა იძლეოდეს.

საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინა არცერთი ნიშნით, ვიმეორებ, არცერთი ნიშნით, არ შეიძლება გამოადგეს კონსპირაციული შეხვედრებისთვის. საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე მდებარე ეს ბინა ყოველად გამოუსდევარია იმ მიზნისთვის, რა მიზნითაც ის დაიქირავეს - კორპუსში და მიმდებარე ტერიტორიაზე დღისა თუ ღამის განმავლობაში უამრავი ადამიანი დადის. იქვე ამ კორპუსის მაცხოვრებლების ავტომატურად ხმის სადგომები.

როგორ აპირებდა ფრთხილი და წინდახელული პრემიერი ამ ბინით ისე სარგებლობას, რომ კორპუსის მაცხოვრებელთათვის მისი ვიზიტები შეუმჩნეველდარიყო? მანქანით პირდაპირ ბინაში ხომ ვერ შევიდოდა? სადარბაზოში ხომ უნდა

რიგში, იმაზე უნდა ეფიქრათ და ეზრუნათ, რომ მათი დასაცავი ობიექტი დაცული ყოფილიყო.

რამდენად იყო დაცული პირველ სართულზე მდებარე ამ ბინაში მყოფი პრემიერი, როდესაც ნებისმიერ ავის მსურველს შეეძლო, თუნდაც მსუბუქი ავტომატისანის სასურავზე ან კარზე ამტკიცალიყო და იქიდან ისე გაეხსნა ცეცხლი, რომ ბინაში ცოცხალი ვერავინ გადარჩებოდა. შეიძლებოდა სრულად, და აჯალბაყლითაც არ შეეწყებინა თავი და ერთი ხელყუმბარა შეეგდო ფანჯრიდან, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდებოდა.

დავუშვათ, არა ბოროტი განზრახვით, არამედ ზრუნვით და უპასუხისმგებლობის გამო შეარჩია დაცვამ ასეთი დაუცველი ბინა! - დაცვამ კი შეარჩია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ჟვანიძისთვის ხომ უნდა ეჩვენებინათ ეს ბინა და მასაც ხომ უნდა მოსწონებოდა იგი?

დაცვის წევრების გონიერებაში თუ გნებავთ, ეჭვი შევიტანოთ, მაგრამ ბატონი ზურაბ ჟვანიძე რომ უდავოდ გონებაგამჭრახი, ფრთხილი და წინდახელული კაცი იყო, ამაში ეჭვი არასოდეს არავის შეჰპარავია. ჰოდა, ახლა წარმოიდგინეთ, ასეთი კაცი საიდუმლო შეხვედრებისთვის შერჩეულ ამგვარ „კონსპირაციულ“ ბინას რომ დაინახავდა, რა გუნებაზე დადგებოდა.

ქუჩაში „გამოდგმული“, „ნიკალა“, (ის „ნიკალა“, რომელმაც ორმოცდაშვიდი კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა ბოლო წლებში, რის შესახებაც პრემიერს შეუძლებელია, არ სცოდნოდოდა) იფრფრის ფარდებით „საიდუმლოდ დაცული“ ფანჯრები, სადაც ტყვიანობის მიხედვით კი არა, სადაც დიდუბის ბაზრობაზე ნაყიდი ჩვეულებრივი მიწები იყო ჩასმული, (რომლის ჩამსხვრევა, რომელიმე ონავარი ბიჭუნას მიერ შემთხვევით ნასროლი ქვიცის ან ადვილი შესაძლებელი იყო) ერთი ფანჯარა, რომელიც საერთოდ არ იკეტებოდა და ბინის წინ მობორილად უამრავი ადამიანი - აი, სურათი, რომელიც პრემიერს იქ დახვდებოდა.

თქვენ როგორ გგონიათ, ჟვანიძე კი არა, ჩვეულებრივი სადად მოაზროვნე კაცი ასეთ ბინას საიდუმლო შეხვედრების ადგილად აირჩევდა, არხეინად შევიდოდა იქ და უსუფოვთან თუ სხვა ვინმესთან ნარდის თამაშს გააჩაღებდა?

დაცვის წევრებს დაევიწყდეთ, თორემ ზურაბ ჟვანიძის შესანიშნავად ახსოვდა, რომ პრემიერ-მინისტრი იყო, რომელსაც მტერიც ბევრი ჰყავდა და ცნობისმოყვარედ მოთვალთვალე ჯამუშისტოვრებიც.

გამომდინარე აქედან, კატეგორიული ტონით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს ბინა ჟვანიძისთვის არც არავის უჩვენებია და არც არავის შეუთავაზებია. მისი არსებობა შესახებ ჟვანიძე არაფერი იცოდა, რადგან, ჩანაფიქრის მიხედვით, ეს მას არ უნდა სცოდნოდა.

მკითხველს ემხსოვრება, რომ ბინის დამქირავებლის შესახებ თავიდან რამდენიმე განსხვავებული ინფორმაცია გაუფიქრდა. ერთი ინფორმაციით, ბინა ვიღაც ბათუმელმა ბიზნესმენებმა იქირავეს, მეორის მიხედვით, ბინა უსუფოვის ჰქონდა და ქირავებული, მესამე ინფორმაციით, ბინის პატრონმა არ იცოდა, ვინ იყო ბინის უმშულო დამქირავებელი, რადგან გარკვეულ მაკლერის მეშვეობით მოხდა. მეოთხე და უკვე ოფიციალურად დამოწმებული ინფორმაციით, ბინა ჟვანიძის პირადი დაცვის წევრმა ძაძაძიამ იქირავა, რომელიც ბინის პატრონმა კიკიანმა ამოიცნო კიდევაც.

ის ფაქტი, რომ ბინა ჟვანიძის დაცვის წევრმა იქირავა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის უმშულოდ ჟვანიძისთვის იქირავეს, თანაც კონსპირაციული შეხვედრებისთვის. თუმცა იყო მცდელობა, რომ ეს ამბავი ზუსტად ამ მიმართულებით წაეყვანათ. - რადგან დაცვის წევრმა იქირავა, ე.ი. ჟვანიძის თხოვნით და დავალებით გააკეთა, რაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სრული აბსურდია.

გაბრეკელაბა. დანსაწყისი. იხ. „მამული“ 2005 წლის №15

# აპაპი სოკრაპას

აკაკი ხორავას, სტალინის შეფასებას თუ გამოვიყენებთ, „მსოფლიო კლასის არტისტის“, ჩანაწერები, ალბათ, მოგონებთა წიგნის ანალოგიად იწერებოდა. ეს ჩანაწერები დღემდე არსად გამოქვეყნებულა, ავტორის სურვილი იყო - სიკვდილიდან ოცდაათი წლის მერე ეხილა მზის სინათლე! რედაქციის თანამშრომელთა შეხედულება ამ მოგონებების თაობაზე არაერთგვაროვანია, თუმცა, ერთში კი შევთანხმდით: ამ ვებგვერდზე მსახიობს, მოღვაწეს, ქართული თეატრის კორიფეს უდავოდ აქვს უფლება, იმდროინდელი მოვლენები - ეხება ეს თეატრს თუ საზოგადო ყოფას - ისე მიიტანოს დღევანდელ თაობამდე, როგორც ეს მისი თვალსაწიერად ჩანდა. XXI საუკუნის საქართველო, იქნებ, ბევრ შეფასებაში არ დაეთანხმოს ჩანაწერების ავტორს, - ამ გადასახედიდან რომ ყოველივე სხვაგვარად მოჩანს - მაგრამ, ვფიქრობთ, იმ ეპოქის თუ გარემოს გაცნობა, რომელშიც ჩვენი დიდი წინაპრები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, უთუოდ საინტერესო იქნება დღევანდელი ქართველებისთვის. მერე რა, რომ ამ ჩანაწერებში შეხვდებით მსახიობის კოლეგებს, რომლებიც მთლად მისაბამი საქციელით არ გამოირჩევიან და, იმავდროულად, შეხვდებით ლავრენტი ბერიას, საქართველოს ცკ-ის ამა თუ იმ მდივანსა და თანამშრომელს, რომლებიც კოლეგებისგან დაბეზებული მოღვაწის გადარჩენაზე „ზრუნავენ“, შეხვდებით კეთილ, სტუმართმოყვარე ბელადს, რომელსაც ქართველებთან ყოფნას არაფერი ურჩევია, აქვე სხვა დიდი მსახიობების თუ რეჟისორების მისამართით გამოთქმულ საუკეთესო თუ მწარე კრიტიკასაც ამოიკითხავთ, მაგრამ გვინდა, შეგახსენოთ - ეს ერთი კაცის, ერთი დიდი მსახიობის თვლით დანახული ის მოვლენებია, რაც თეატრში, ქვეყანაში, „დიდ“ საბჭოეთში ხდებოდა, და ამ ჩანაწერებს სულაც არა აქვს უდავო ჰემოარიტების მტკიცების პრეტენზია.



1923 წლის სეზონი... ახალი მოსული ვარ თეატრში. საშინელი მდგომარეობა კოლექტივში. როგორც იტყვიან, იმდენი დაჯგუფება იყო თეატრში, რამდენი კაცი. ყველა ერთმანეთს ებრადა. ყველა თავის თავზე ფიქრობდა, კარიერისათვის იბრძოდა. მე კიდევ, ახალი კაცი მსახიობთა წრეში, გაოცებული ვიყავი ამ მდგომარეობით. მწყინდა, რომ ჩემთვის სათაყვანო მსახიობები, რომელთა შესახებ დიდი წარმოდგენა მქონდა არამარტო როგორც მსახიობებზე, არამედ როგორც მოქალაქეებზე, არასერიოზული, წვრილმანი ხალხი გამოდგა. მსახიობების მსჯელობა ქართული თეატრის ბედ-იბდომზე, ქართულ კულტურაზე, ისტორიაზე მხოლოდ ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა. სიტყვებს უკან კი იმალებოდა ინტრიგანობა, შური, პირადი ინტერესი და სხვა ამგვარი - პირში ერთმანეთის ქება, ზურგს უკან კი ლანდვა და გაკილა. ჩემთვის ყოველივე ეს უცხო იყო და თითქმის გადაწყვიტე, გავექცეოდი მსახიობთა წრეს და დაგბრუნებოდი ისევ საექიმო დაკულტურეს. ეს გადაწყვეტილება უფრო განმტკიცდა ჩემში ერთი ფაქტის გამო: მსახიობმა პოლკოვნიკი კორიფელო, რომელიც მაინცადამაინც არ გამოირჩეოდა დიდის ნიჭიერებით, გამოიმძახა და წინადადება მომცა, ერთად გვესაიდინა. მეც მივიღე წინადადება და წავიდი. მივიღეთ რესტორანში, მოითხოვა საჭმელი. მე მას არ ვიცნობდი, არც არაბანობი სახსლოდ მაკავშირებდა მასთან. მიკვირდა - რად დასჭირდა ჩემი დაპატიჟება-მეთქი. შევეყვითე ლაპარაკს და მან მითხრა: - ხომ ხედავ, თეატრი დალუბდა გზაზე დგას, რამდენი დაჯგუფება თეატრში, ვინ მოსთვლის. არც ძველები და არც ახალგაზრდები არ არიან პატიოსნები. შენ მაგათ არ ენდო. შენ გეტყობა, ნიჭიერი და ამავე დროს, მაგარი, ჭკვიანი ბიჭი ხარ. მე მინდა, შეგქმნა ჯგუფი ახალგაზრდებისა და ვიბრძოლო ძველებისა და ახლების წინააღმდეგ. ამიტომ გაძლევ წინადადებას, შემოხვიდე ჩემს ჯგუფში და არ წაგვებ. მე გული მომივიდა, მაგრამ შეუტარებდა არ გვადრე, მხოლოდ ვუთხარი: მე თეატრში მოვიდი, არა ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად, კოლექტივში არეგ-დარევის შესატანად. გადავიხადე დანახარჯი და უსიტყვოდ გარეთ გამოვიღე. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ატმოსფერო სუფევდა თეატრში, როცა კორიფელო კი აპირებდა დაჯგუფების შექმნას. მითუმეტეს, მაშინ, როდესაც კოტე მარჯანიშვილი დათანხმდა ქართული თეატრის მეთაურობას და საჭირო იყო ამ დიდი ხელოვანის ირგვლივ თავის მოყრა.

ჩემი თეატრის დირექტორად ყოფნის დროს აკაკი ვასაძე მთავარი რეჟისორი იყო, კარგად შეთანხმებულად ვმუშაობდით, მაგრამ ზოგიერთი საკითხის გარჩევას, ჩვენი აზრის სხვადასხვაობის გამო, მსჯელობა მწვავე ხასიათს ღებულობდა, თუმცა, შემეძლო, თეატრის დირექტორის უფლებებით მესარგებლა და ჩემი აზრი გამეტარებინა, მაგრამ ამას არ ვაგებებდი - წაიყვანდი ვასაძეს რაიკომის მდივანთან (გოგიშვილი), ვეტყუდი, რითი ვიყავი უქმყოფი. ვასაძეც თავისას იტყუდა. როგორც მდივანი გვირჩევდა ან მიგვითხოვდა, ისე ვიქცეოდით.

შეიძლება, ჩემი დირექტორობის დროს, ხანდისხან, უხეშობას ვიჩენდი დამნაშავეს (გრიშის არგაკეთება, მსახიობური ამპარტავნობა, ანტი-მორალური საქციელი, ახალგაზრდების დაზარალება, ძველგაზრდებისადმი უდიერი მოპყრობა, კუთხე-კუთხე ლაპარაკი, სურვილი ჯგუფების შექმნისა, როგორც უარის თქმა, თეატრის შინაგანაწილის დარღვევა და სხვა ამგვარი) მიმართ, დამისჯია კიდევ; მაგრამ არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომ კაცი გამეფუჭებინოს, პირიქით, თეატრის გარეშე, ყოფილა, მუშაკს ვიცავდა და ვცდილობდი, ამხანაგებს არ დაეჩაგრათ.

თეატრის ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა, დაცულ იქნას რამდენიმე დებულება, რაც თეატრის არსებობისათვის აქსიომას წარმოადგენს: ზუსტი შემოქმედებითი დისციპლინა, უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილება, კოლეგიალობა, ერთმანეთის პატივისცემა, ყოველგვარი ეგოისტური და კარიერისტული ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლა, მაღალი ეთიკობა და წმინდა მორალური სახე, მკვეთრი იდეური მიმართება თეატრის საქმიანობისა. იქ, სადაც ეს აქსიომები დაირღვევა, თეატრი ვერ შეძლებს დაკისრებულ ამოცანათა შესრულებას.

არასოდეს ყოფილა შემთხვევა, ჩემს გამოსვლებში თუ სტატიებში ჩემ თავზე მელაპარაკნა. პირიქით, ვცდილობდი, ძველგაზრდები თუ ახალგაზრდები კარგად შეხსენებინა და მათი მუშაობისა თუ ნიჭისათვის მაღალი შეფასება მიმეცა. კარგად ვიცოდი, რომ დადგებოდა დრო ძველი თაობის შეცვლისა და ვცდილობდი, თეატრში მიმეღო ინსტიტუტიდან ნიჭიერი ახალგაზრდობა. თეატრში ჩემ მიერ არის მიღებული: ე. მანჯ-გალაძე, ნ. ჩხეიძე, მ. ჩხავაძე, ი. ჯინჯიბაძე, რ. ჩხიკვაძე, ზ. კვერციანიძე, ს. ყანჩელი (პირველად), ბ. კობახიძე, გ. გვეგუკორი, მ. გვეგუკორი, ა. დვალიშვილი, მ. თუმანიშვილი (სამწუხაროდ), ი. ტყევაძე, მ. მგალობლიშვილი, თ. თეთრაძე, კ. საკანდელიძე, ს. იანელი, ლ. აბაშიძე, ნ. ფალიაშვილი, მ. მიქელაძე, მ. ურუშაძე, გ. ვაჩნაძე, კ. მახარაძე, გივი ძნელიძე და მრავალი სხვა. არავის ვაძლევდი უფლებას, ახალგაზრდობა დაეჩაგრათ, ამიტომაც ძველგაზრდები ჩემზე გამწყარბნი იყვნენ. მე მოვიყვანე თეატრში მხატვარი ლაპიაშვილი, კრიტიკოსი ვ. კიკნაძე, ბ. ნიკოლიშვილი და სხვა. ყოველგვარად ვცდილობდი, გამეზარდა ეს ახალგაზრდობა, როგორც ღირსეული ცვლა ჩვენი თაობისა თეატრში.

ოდ არ მივიღებდი კოლექტივში, რადგან მათი მორალური და ეთიკური სახე მიუღებელი იყო საბჭოთა თეატრისთვის (ინტრიგანობა, ლაქუცები, ქვეშ-ქვეშები, ჭორიკნობა და სხვა).

რასაკვირველია, ვასაძის მიერ მიღებული მსახიობები ჩემით იყვნენ უქმყოფილონი, რადგან მე ახალგაზრდობას ვეჭმობებოდი. თეატრში იყვნენ ბევრნი, რომლებიც თვლიდნენ თავიანთ თავს ვასაძის გამოზრდილებად. ასეთები იყვნენ ჩიხლაძე, ხუციშვილი, ლაფაჩი, თ. ბაქრაძე, ასიტაშვილი და სხვა საშუალო თაობის წარმომადგენლები. ამ სამ თაობას შორის იყო ჩემი უქმყოფილებანი. ვასაძე თითქოს მხარს უჭერდა ახალგაზრდობას ჩემი თანდასწრებით, მაგრამ ჩემ გარეშე ამტკიცებდა, რომ ახალგაზრდობის გარეშე მე თეატრში სხვა არავინა მწაშს და სხვა ამგვარი.

მე გულსისუფრო ვაკვირდებოდი თაობათა ურთიერთობას და ვაღწევდი კიდევაც მათ შორის ნორმალურ დამოკიდებულებას, დასის მთლიანობას. საკმარისი იყო, დროებით სადმე წაესულიყავი, რომ დაბრუნებისას დასი არეული დამხვედროდა. მეც ვიწყებდი თავიანთ თაობათა შერიგებას.

რადგან დასში ბევრი პროფესიონალურად გამოუსადეგარი გვყავდა, ნელ-ნელა მიწოდდა მათი მოშორება, რომ მათი ადგილი ახალგაზრდობით შემავსო. მურღულუას დირექტორად ყოფნის დროს (მაშინ მე პარტოგანიზაციის მდივანი ვიყავი) დასი შეამოკლეს 14 მსახიობით, მე ამის შესახებ არა ვიცი დღემდე - შეამოკლეს ვასაძემ და მურღულუამ ჩემ დაუყოვნებლივ. ზოგიერთი შემოკლებას მე არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმებოდი. მაგ. ნ. ჩხეიძის, ი. ტყევაძის, ა. კუბრაშვილის, გ. წულაძის და ზოგი სხვებისაც, მაგრამ ცეკაში შესამოკლებელ ხალხის განხილვის დროს მე ვაქტის წინაშე დავდექი და ჩემი არდათანხმება ოფიციალურად განუცხადე მდივანს. ბოლოს მე გამოვიდდი დამნაშავე და ყველა შემოკლებულეები მე მომანდობდნენ, ხოლო შემოკლებულები კი, ვითომ უდანაშაულონი იყვნენ ამ საქმეში.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: როდესაც ტფილისში ვიყავ, თეატრი ასრულებდა ფინანსურ გეგმას და, როდესაც მივიღებდი დებულებას, რომ დასი შეეცვლინა, თეატრში იყო ჩემდამდე მიმავალი წერილები, რომლებშიც ძველგაზრდები ჩემზე გამწყარბნი იყვნენ. მე მოვიყვანე თეატრში მხატვარი ლაპიაშვილი, კრიტიკოსი ვ. კიკნაძე, ბ. ნიკოლიშვილი და სხვა. ყოველგვარად ვცდილობდი, გამეზარდა ეს ახალგაზრდობა, როგორც ღირსეული ცვლა ჩვენი თაობისა თეატრში.

ჯერ კიდევ ინსტიტუტში მათი ყოფნის დროს ვიშუამდგომლე ხელმძღვანელობის წინაშე კომპრომისული თეატრის დაარსების შესახებ, მაგრამ მითხრეს, რომ ახლა ომია და არ არის ამის დრო, ომი რომ დამთავრდება, მაშინ დასვით ეს საკითხი, მანამ კი ნიჭიერი ახალგაზრდებს რუსთაველის თეატრში მოუყარეთ თავი. მეც აგრე მოვიქცე. ყოველი ახალგაზრდა ყოველმხრივ ყავდა შემოწმებული და ვღებულობდი თეატრში მხოლოდ ღირსეულთ. როდესაც მე უცხოეთში ვავემგზავრებოდი ხოლმე ჩემი მოვალეობის შემსრულებლად, ვასაძე რჩებოდა. მის მიერ იყვნენ მიღებული ბუხ. ზაქარაძე, ვლა. დლიძე, ა. აფხაიძე, მ. თოიძე, თ. თარხნიშვილი, მსახიობი კიკნაძე და სხვ. რომელთა უმრავლესობას მე უთუ-

